კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mfa.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 30 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

www.mfa.gov.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50,00%
80,91%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
63,16%
66,13%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
17,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
48,15%
56,85%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
33,33%
29,06%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
46,15%
23,79%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
13,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
100,00%
26,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
15,50%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%
120,00%

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი“ სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა და მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

**ბიოგრაფია**

**გრიგოლ ვაშაძე** დაიბადა 1958 წლის 19 ივლისს, ქ. თბილისში, ნოდარ ვაშაძისა და ელენე ბაქრაძის ოჯახში.

1975 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა.

1981 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

1981-1988 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდგომ, კოსმოსის და ბირთვული შეიარაღებების განყოფილებაში.

1988-1990 წლებში იყო დიპლომატიური აკადემიის ასპირანტი.

1990 წლიდან 2008 წლამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით და ხელმძღვანელობდა თავის დაარსებულ კომპანიებს: "Georgia Arts Management" და "Gregory Vashadze and BR".

2008 წლის 6 თებერვალს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

2008 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად.

2008 წლის 6 დეკემბრიდან დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად

ჰყავს მეუღლე ნინო ანანიაშვილი და ორი შვილი ნოდარ ვაშაძე და ელენე ვაშაძე.

ფლობს რუსულ, ინგლისურ, პორტუგალიურ, იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანის დიპლომატიური რანგი.



**2.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მოადგილეები“ სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:




**3.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის ზოგადი გრაფიკი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:



**4.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოქმედი დებულებით განსაზღვრული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითადი ფუნქციების და ამოცანების აღწერა. ამასთან, ვებ-გვერდზე მოცემულია ქართული დიპლომატიის ისტორია, ხოლო სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია არ მოიძიება



ქართული დიპლომატიის ისტორია

ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება 2 800 - 3 000 წლის წინ გულისხმობს გარკვეულ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს, კონკრეტულ დიპლომატიურ საქმიანობას. ქართული დიპლომატიური სამსახურის, მისი ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების განხილვა სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად ხდება. საინტერესოა, საელჩო (სამოციქულო, სადესპანო) სამსახურების საქმიანობა, ელჩობათა ეფექტურობა, დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმები, თუ შეთანხმებების შინაარსი. ქართული დიპლომატიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებთან კავშირსა და ურთიერთობებთან.

საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელობა მეტ წილად განსაზღვრა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ - ზღვაზე გასასვლელმა, საზღვრების დაცულმა კონფიგურაციამ (ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედი, დასავლეთით შავი ზღვა) და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ (სატრანზიტო გზები, მოსაზღვრე ქვეყნები, მათი კავშირები და ტრადიციები).

წარმოშობით ქართველები ეკუთვნიან პალეოკავკასიურ (ანუ კავკასიურ) ეთნოლინგვისტურ ოჯახს, რომლის წარმომადგენელი ხალხები კავკასიის უძველესი მოსახლეობის პირდაპირი შთამომავლები არიან. ეს ოჯახი იყოფა სამ შტოდ: 1. დასავლური, ანუ აფხაზურ-ადიღური; 2. აღმოსავლური, ანუ ჩეჩნურ-დაღესტნური და 3. სამხრეთული, ანუ ქართველური. შესაბამისად, დასავლური შტო აერთიანებს თანამედროვე აფხაზებს, აბაზებს, ადიღეელებს, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს; აღმოსავლური - ჩეჩნებს, ინგუშებსა და დაღესტნელებს (ავარები, ლეზგები, დარგუელები, ლაკები და სხვ.); ქართველური კი წარმოდგენილია ქართველი ხალხით, რომელიც შედგება სამი ძირითადი სუბეთნიკური ჯგუფისაგან - ქართები, ზანები ანუ მეგრელ-ჭანები და სვანები. წინარე ქართველური ენის დაყოფა ქართულ, ზანურ და სვანურ შტოებად იწყება ძვ.წ. III-II ათასწლეულებში.

იმ ეპოქაში ქართული (ქართველური) ტომები სახლობდნენ როგორც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონებში. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში ზოგიერთმა მათგანმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზღურბლს მიაღწია. ასე, ძვ. წ. XII ს-ში მდინარეების ჭოროხისა და დასავლეთ ევფრატის სათავეებში ყალიბდება ადრეკლასობრივი გაერთიანება დიაუხი. დიაუხის მოსახლეობას მძიმე ბრძოლების წარმოება უხდებოდა წინა აზიის მძლავრი სახელმწიფოების - ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ. სწორედ ძველი ასურული წერილობითი წყაროები მოიხსენიებენ პირველად ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს, რაც დაკავშირებულია ჩრდილოეთის მეზობელი ხალხების წინააღმდეგ მიმართულ ასურეთის ექსპანსიურ- საგარეო პოლიტიკასთან. მეფე ტიგლათფილასარ I „წარწერა პირიზმაზე" გვამცნობს, რომ მან გაიალშჭრა ნაირის ქვეყნების (იგულისხმება ვანისა და ურმიის ტბების ჩრდილოეთით მდებარე :

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**5.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე).

**6.** მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო, რა ინფორმაციაც არ არის ხელმისაწვდომი ვებ-გვერდის მომხმარებლისათის სამინისტროს სისტემის სტრუქტურის გაცნობისას.

**7.** სამინისტროს ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (ცენტრალური აპარატის) შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების  კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და მათი შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები:

**დეპარტამენტები**

**პოლიტიკური დეპარტამენტი**

დირექტორი: ხათუნა სალუქვაძე
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 11 01

**ამერიკის დეპარტამენტი**

დირექტორი: გიორგი ყველაშვილი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 15 00

**უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი**

დირექტორი: ნიკოლოზ რთველიაშვილი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 12 00

**ევროინტეგრაციის დეპარტამენტი**

დირექტორი: თეა ახვლედიანი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 13 00

**ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი**

დირექტორი: გიგი გიგიაძე
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 14 00

**დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი**

დირექტორი: გიორგი ყარალაშვილი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 17 00

**აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი**

დირექტორი: ზურაბ ალექსიძე
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 16 00

**საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი**

დირექტორი: ვახტანგ მახარობლიშვილი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 18 00

**საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი**

დირექტორი: მამუკა ციხელაშვილი
ტელ: (+995 32) 294 50 00 - 19 00

**8.** განყოფილებაში „დიპლომატიური სამსახური“, ქვე-განყოფილებაში „საქართველოს მისიები საზღვარგარეთ“ საქართველოს საელჩოების ვებ-გვერდების გადასასვლელ პორტალში შეიმჩნევა რიგი ხარვეზებისა, კერძოდ:

- არ მოიძიება აშშ-ში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისასალმებელი სიტყვა, ბიოგრაფია და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები;

- არ მოიძიება ბულგარეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი;

- არ მოიძიება ბელარუსის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი, ელჩის მისასალმებელი სიტყვა და ბიოგრაფია;

- არ მოიძიება ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი, ელჩის მისასალმებელი სიტყვა, ბიოგრაფია და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები;

- არ მოიძიება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა სახელები და გვარები;

- არ მოიძიება დანიის სამეფოში საგანგებო და სრულუფლებიანი მისასალმებელი სიტყვა;

- არ მოიძიება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბიოგრაფია;

- არ მოიძიება ესტონეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი;

- არ მოიძიება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი, ელჩის მისასალმებელი სიტყვა და ბიოგრაფია;

- არ მოიძიება იტალიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისასალმებელი სიტყვა;

- არ მოიძიება ისრაელის სახელმწიფოში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საკონტაქტო რეკვიზიტები;

- არ მოიძიება ლიტვის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისასალმებელი სიტყვა;

- არ მოიძიება ლატვიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი;

- არ მოიძიება საფრანგეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბიოგრაფია;

- არ მოიძიება შვედეთის სამეფოში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისასალმებელი სიტყვა;

- არ მოიძიება სომხეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები;

- არ მოიძიება რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ხელმღძვანელის ფოტოსურათი და ბიოგრაფია;

- ბმულები სათაურად - ა) „მექსიკის შეერთებული შტატები“ ბ) პორტუგალიის რესპუბლიკა გ)სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა““ და დ) “„ქუვეითის სახელწიფო, საუდის არაბეთის სამეფო, ბაჰრეინის სამეფო, კატარის სახელმწიფო, ომანის სასულთანო და არაბთა გაერთიანებული საემიროები“ არ იხსნება;

- არ მოიძიება შვეიცარიის კონფედერაციაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფოტოსურათი, ელჩის მისასალმებელი სიტყვა და ბიოგრაფია;

- ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პორტალი მოცემულია მხოლოდ ინგლისურენოვან ვარიანტში.

ამასთან, ელჩების საკონტაქტო რეკვიზიტებიდან მოცემულია მხოლოდ მათი ტელეფონის ნომრები, ხოლო საელჩოს შენობების მდებარეობის რუკა მოცემულია მხოლოდ იაპონიაში საქართველოს საელჩოს შემთხვევაში:



**საქართველოს მისიები საზღვარგარეთ**

- ავსტრიის რესპუბლიკა
- აზერბაიჯანის რესპუბლიკა
- ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა
- ბელგიის სამეფო
- ბულგარეთის რესპუბლიკა
- ბელარუსის რესპუბლიკა
- ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
- დანიისა და ნორვეგიის სამეფოები და ისლანდიის რესპუბლიკა
- დიდ ბრიტანეთის და ჩრდ.ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ირლანდია
- ესპანეთის სამეფო და ანდორის სათავადო
- ეგვიპტის და სირიის არაბთა რესპუბლიკები
- ესტონეთის რესპუბლიკა
- თურქეთის რესპუბლიკა, ალბანეთის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა
- თურქმენეთი და უზბეკეთი
- ინდოეთის რესპუბლიკა
- იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო, ერაყისა და ლიბანის რესპუბლიკა
- ირანის და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკები
- ისრაელის სახელმწიფო
- იაპონია
- კვიპროსის რესპუბლიკა
- იტალია, სან-მარინო, მალტის რესპუბლიკა
- ლიტვის რესპუბლიკა
- ლატვიის რესპუბლიკა
- მექსიკის შეერთებული შტატები
- პოლონეთის რესპუბლიკა
- პორტუგალიის რესპუბლიკა
- რუმინეთი და მოლდოვის რესპუბლიკა
- რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექცია
- საბერძნეთის და სერბეთის რესპუბლიკები
- სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
- საფრანგეთი, მონაკოს სამთავრო
- სომხეთის რესპუბლიკა
- უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკები
- უკრაინა
- ქუვეითის სახელწიფო, საუდის არაბეთის სამეფო, ბაჰრეინის სამეფო, კატარის სახელმწიფო, ომანის სასულთანო და არაბთა გაერთიანებული საემიროები
- ყაზახეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკები
- შვედეთის სამეფო, ფინეთის რესპუბლიკა
- შვეიცარიის კონფედერაცია, ლიხტენშტეინის სამთავრო, ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა
- ჩეხეთის რესპუბლიკა
- სლოვაკეთისა და სლოვენიის რესპუბლიკები
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა
- ნიდერლანდების სამეფო
- წმიდა საყდარი (ვატიკანი), მალტის სამხედრო სუვერენული ორდენი
- უნგრეთის, ხორვატიის რესპუბლიკები და მონტენეგრო
- საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობები
- გენერალური საკონსულოები

**9.** განყოფილებაში „დიპლომატიური სამსახური“ არ არის მოყვანილი საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების ფოტოსურათები და ბიოგრაფიული მონაცემები, ანალოგიური სახის ინფორმაცია არ მოიძიება ქვე-განყოფილებაში „დიპლომატიური კორპუსი“ მოყვანილ საპატიო კონსულების ჩამონათვალის შემთხვევაშიც. ამასთან, ქვე-განყოფილება „საგანგებო დავალებათა ელჩები“ ცარიელია:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**10.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, ერთიანი განყოფილება პროგრამები/პროექტები, მიმდინარე ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილებაში „ტენდერები“ უახლესი სატენდერო განცხადება თარიღდება 2010 წლის 09 ნოემბრით:



**11.** განყოფილება სათაურად „ანონსი“ და ქვე-განყოფილება „ადამიანური რესურსების მართვა“ – „სასწავლო კურსი“ იუწყებიან რომ „მიმდინარეობს საიტის რეკონსტრუქცია“, ხოლო განყოფილებაში „საქართველოს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება - „დღესასწაულები“ და განყოფილება „საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება“ ცარიელია:




**12.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**13.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

**14.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ერთიანი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიში“.

**16.** საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

**15.** სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები", რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**16.** ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე სამართლებრივი აქტები ძალზედ მიმოფანტულია. ამასთან, მათ შორის თითქმის ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის სამინისტროს დებულებაც. სასურველია, რომ სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიმოფანტულია ვებ-გვერდზე სხვადასხვა ქვე-განყოფილებებში ერთიანად იყოს წარმოდგენილი შესაბამის (ქვე-)განყოფილებაში სათაურად - „კანონმდებლობა" ან „სამართლებრივი აქტები". სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სამინსიტროს შინაგანაწესი. აღნიშნული აქტი სასურველია მოიძებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილე ბისა და საქმიანობის წესის შესახებ";

- საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის სრულყოფის შესახებ შემუშავებული შესაბამისი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების პროექტები;

- მინისტრის პირველი მოადილისა და მოადგილეების უფლებამოსილეთა განმსაზღვრელი მინისტრის ბრძანება;

  სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტები;

- სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებები;

- საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფების (დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება) ტიპობრივი დებულება;

- სამინისტროს შინაგანაწესი;

- საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

- საქართველოს კანონი" საპარლამენტო მდივნის შესახებ".

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ინვესტირება საქართველოში" არსებულ (ქვე-) განყოფილებაში „კანონმდებლობა" განთავსებული ბმული - საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ - არ იხსნება:

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**17.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**18.** სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ

ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sagareo0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**19.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**20.** ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „ტენდერები", თუმცა მასში არ არის განთავსებული სამინისტროს მეირ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), მოცემულია უმეტესწილად სატენდერო განცხადებები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/3_shesyidvebi0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**23.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც მოყვანილ იქნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი,

საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**24.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია გარდა 2009 წლის მაჩვენებლებისა; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი),რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sagareo_budget0001.pdf);*

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის 1 პირველი ინვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების), ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/20092010_wlis_ministris_sargoebi0001.pdf*);

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა სამინისტროს თანამშრომლეთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულ თანამდებობრივ სარგოებზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/2010 წლების განმავლობაში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* *http://www.opendata.ge/pdf_files/20092010_wlis_tanamshromelta_sargoebi_da_sxelpaso__danamati.pdf);*

არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე). *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე) რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* *http://www.opendata.ge/pdf_files/sagareo_xelfasipremia0001.pdf)*;

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელ პირებზე 2009/2010 წლებში გაცემული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* *http://www.opendata.ge/pdf_files/20092010_wlis_ministris_premiebi0001.pdf)*;

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, სამინისტროს თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* *http://www.opendata.ge/pdf_files/sagareo_sakmeta_saministro__xelfasebi.pdf).*

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
64,71%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
68,42%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის შიდა მენიუს ფონი არის თეთრი, ამის გამო შეუძლებელია გარჩევა თუ სად მთავრდება მენიუ. შიდა მენიუს უნდა ქონდეს ჩარჩო, ან წარმოდგენილი უნდა იყოს გასხვავებული ფონით:

- **ძიება**

ვებ-გვერდის ძიების მოდული მუშაობს შეფერხებით. საჭიროა ძიების მოდულის დახვეწა ვებ-გვერდის სწრაფი ჩატვირთვისთვის:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე განთავსებულია 12 პიქსელზე მცირე ზომის ტექსტები. შესაბამისად მისი აღქმა და წაკითხვა რთულია:




- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში მოიძებნება ინგლისური სტატიები და ინფორმაციები:

ქართულ ვერსიაში აუცილებლად უნდა იყოს ქართული ტექსტები, ხოლო თუ არსებობს გამონაკლისი სადაც აუცილებელია ინგლისურად დაწერილი სტატია, მას აუცილებლად უნდა ახლდეს ქართული ვერსიაც;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე გარკვეული სურათების ზომებს აგენერირებს სერვერი, ეს მეთოდი არ არის გამართლებული, რადგან სურათის გენერაცია ხდება შენელებულად:

სურათები აუცილებლად უნდა იყოს სპეციალურ ზომებზე დაჭრილი და სერვერი მათ არ უნდა აგენერირებდეს ყოველ ჩატვირთვაზე;

ყველა ბრაუზერში ვებ-გვერდს აქვს მცირე ხარვეზი:

ეს საკმაოდ წვრილმანი ხარვეზია, შესაბამისად მისი გამოსწორებაც HTML / CSS-ის საშუალებით მარტივია;

ასევე მცირე ხარვეზია ტექსტების გამოსახვის დროს:



ბრაუზერ INTERNET EXPLORER-ში, ვებ-გვერდის სტრუქტურა დარღვეულია:




ვებ-გვერდის სტრუქტურის შექმნის დროს, პროგრამისტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა ბრაუზერის სტანდარტები და აუცილებლად უნდა გატესტოს ყოველი მოქმედება მათში;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, ასევე უნდა აღინიშნოს რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს Facebook-ის გვერდი უყურადღებოდ არის დატოვებული:

- **დამატებითი პარამეტრები**

იმის გამო, რომ ატვირთულ დოკუმენტებში გამოყენებულია სპეციფიური ფონტები, ფაილების გახსნისას აისახება შეცდომები, მაგალითად:




## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე აღინიშნება მცირე სტრუქტურული ხარვეზები, ტექსტის გამოტანის პრობლემები, სურათების გენერაციის არასწორი მეთოდები. ასევე ვებ-გვერდი არ არის პრაქტიკულად ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობას. საერთო ჯამში რჩება შთაბეჭდილება, რომ ვებ-გვერდი დიდი ხნის წინ არის შექმნილი და შესაბამისად მასში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტები;